ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“
შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის” პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 29 ივლისის სხდომის № 01-03/02 ოქმის დანართი №5

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

2022

სარჩევი

თავი I - ზოგადი დებულებები 1

მუხლი 1. მეთოდოლოგიის მიზნები და ამოცანები 1

თავი II - სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი 1

მუხლი 2. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი წესი 1

მუხლი 3. სასწავლო სივრცეების რესურსით სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან შესაბამისობის განსაზღვრის წესი 2

მუხლი 4. ადამიანური რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი 4

მუხლი 5. კლინიკური რესურსით სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა 4

მუხლი 6. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 5

მუხლი 7. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული 6

თავი III - საგანმანათლებლო პროგრამებზე პერსონალის, მატერიალური და კლინიკური რესურსების საჭიროების განსაზღვრის წესი 6

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამაზე პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი 6

მუხლი 9. საგანმანათლებლო პროგრამაზე მატერიალური რესურსის საჭიროების განსაზღვრის წესი 6

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამაზე კლინიკური რესურსის საჭიროების განსაზღვრის წესი 7

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები 7

თავი I - ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მეთოდოლოგიის მიზნები და ამოცანები

1.1. სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (შემდეგში - ,,მეთოდოლოგია" ან ,,დოკუმენტი") ადგენს შპს ,,ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში" (შემდეგში - ,,უნივერსიტეტი" ან ,,ავიცენა") სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესს, განსაზღვრავს მაჩვენებლებს, რომლებიც მიიღება მხედველობაში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის, აყალიბებს ამ მახასიათებლის კალკულაციის პრინციპებსა და უნივერსიტეტის სასწავლო სივრცის, ადამიანური თუ კლინიკური რესურსების განვითარების მეთოდოლოგიას, სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შესაბამისად.

1.2. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო თუ კლინიკური სწავლების პროცესების მაღალი ხარისხით, შეუფერხებლად განხორციელებას, მისცეს უნივერსიტეტს საკუთარი მატერიალური, ადამიანური თუ კლინიკური რესურსების საკმარისობის შეფასებისა და შემდგომი განვითარების საჭიროების დადგენის გამჭვირვალე და ეფექტური ინსტრუმენტი.

1.3. მეთოდოლოგია ითვალისწინებს საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებულ რეგულაციებს, მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს, და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ დასახულ განვითარების დინამიკის და დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიღწევადობის პირველად და მიმდინარე შეფასებას.

თავი II - სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი

მუხლი 2. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი წესი

2.1. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - არის სტუდენტთა კონტინგენტის ოდენობა, რომლის საგანმანათლებლო მომსახურება, საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნისა და ხარისხის დაცვით, უნივერსიტეტს შეუძლია არსებული მატერიალური, ადამიანური და კლინიკური რესურსის გათვალისწინებით.

2.2. უნივერსიტეტის მატერიალურ რესურსად ამ მეთოდოლოგიის მიზნებისთვის მიიჩნევა სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო ფართი და სივრცეები - სალექციო და სასემინარო აუდიტორიები, ლაბორატორიები და სიმულაციური სწავლების სივრცეები.

2.3. უნივერსიტეტის ადამიანურ რესურსად ამ მეთოდოლოგიის მიზნებისთვის მიიჩნევა უნივერსიტეტთან შრომით ურთიერთობაში მყოფი აკადემიური და მოწვეული პერსონალი (პროფესორები, მასწავლებლები) და მათი შრომითი აკადემიური (სასწავლო) დატვირთვა.

2.4. უნივერსიტეტის კლინიკურ რესურსად ამ მეთოდოლოგიის მიზნებისთვის მიიჩნევა უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმის/ხელშეკრულების მქონე სამედიცინო დაწესებულებების - საუნივერსიტეტო/აფილირებული კლინიკებისა და პარტნიორი კლინიკების შესაბამისი სამედიცინო მომსახურების დეპარტამენტები, ამ პუნქტით

განსაზღვრული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტთა მისაღები რაოდენობითა და შესაბამისი დეპარტამენტის პაციენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.

2.5. ამ მეთოდოლოგიით გათვალისწინებული რესურსების გარდა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია შეაფასოს სხვა რესურსების - პერსონალური კომპიუტერების, სასწავლო სიმულატორების, საბიბლიოთეკო ფონდების, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის და სხვ., საკმარისობა. აღნიშნული შეფასება წარმოებს სტუდენტთა არსებული ან/და მისაღები რაოდენობის და არა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

მუხლი 3. სასწავლო სივრცეების რესურსით სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან შესაბამისობის განსაზღვრის წესი

3.1. სასწავლო სივრცის რესურსებით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

3.1.1. ლექციებისთვის სააუდიტორიო რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების წესი - ერთი აუდიტორიის შესაძლო დატვირთვა სალექციო მეცადინეობისათის დღეში მრავლდება კვირაში სასწავლო დღეების რაოდენობაზე, ასევე მრავლდება სემესტრში სასწავლო კვირების რაოდენობაზე და მიღებული შედეგი მრავლდება სალექციო აუდიტორების რაოდენობაზე; მიღებული მაჩვენებლის მიხედვით მიიღება სემესტრში სალექციო საათების ჩატარების ზღვრული რაოდენობა; მიღებული მაჩვენებელი იყოფა სემესტრში ჯგუფის საათობრივ სალექციო დატვირთვაზე და მრავლდება სალექციო აუდიტორიებში დასაშვებ სტუდენტთა საშუალო რაოდენობაზე, მიღებული შედეგი წარმოადგენს ლექციებისთვის უნივერსიტეტის სააუდიტორიო რესურსით გამოანგარიშებულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

3.1.2. სემინარებისთვის სააუდიტორიო რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების წესი -

ერთი აუდიტორიის შესაძლო დატვირთვა სემინარული და ჯგუფში მეცადინეობისათვის დღეში (სთ) მრავლდება სასწავლო დღეების რაოდენობაზე კვირაში, ასევე მრავლდება სემესტრში სასწავლო კვირების რაოდენობაზე და მიღებული შედეგი მრავლდება სემინარებისთვის აუდიტორების რაოდენობაზე; მიღებული მაჩვენებლის მიხედვით მიიღება სემესტრში პრაქტიკული/სემინარული საათების ჩატარების შესაძლებლობა; მიღებული მაჩვენებელი იყოფა სემესტრში ერთი ჯგუფის პრაქტიკული/სემინარული სწავლების საათების რაოდენობაზე და მრავლდება პრაქტიკული/სემინარული აუდიტორიებში დასაშვებ სტუდენტთა საშუალო რაოდენობაზე, მიღებული შედეგი წარმოადგენს **სემინარებისთვის** უნივერსიტეტის **სააუდიტორიო** რესურსით გამოანგარიშებულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

3.1.3. ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის ლაბორატორიების რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების წესი -

საუნივერსიტეტო კლინიკების მიერ ლაბორატორიული სწავლებისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა დღეში მრავლდება სასწავლო დღეების რაოდენობაზე კვირაში, ასევე

მრავლდება სემესტრში სასწავლო კვირების რაოდენობაზე და მიღებული შედეგი მრავლდება **ლაბორატორიული** მეცადინეობებისთვის გათვალისწინებული **ლაბორატორიების** რაოდენობაზე. მიღებული მაჩვენებლის მიხედვით მიიღება სემესტრში ლაბორატორიული სწავლების საათების ჩატარების შესაძლებლობა; მიღებული მაჩვენებელი იყოფა ერთი ჯგუფის მიერ ლაბორატორიული სწავლების საათების რაოდენობაზე სემესტრში და მრავლდება ერთ ჯგუფში ლაბორატორიულ სწავლებაზე დასაშვებ სტუდენტთა საშუალო რაოდენობაზე. მიღებული შედეგი წარმოადგენს **ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის** უნივერსიტეტის **ლაბორატორიების** რესურსით გამოანგარიშებულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

3.1.4. სიმულაციური მეცადინეობებისთვის სიმულაციური სივრცეების რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების წესი -

სიმულაციური სწავლების, კლინიკური უნარ-ჩვევების და შეფასების ცენტრში სწავლებისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა დღეში მრავლდება სასწავლო დღეების რაოდენობაზე კვირაში, ასევე მრავლდება სემესტრში სასწავლო კვირების რაოდენობაზე და მიღებული შედეგი მრავლდება **სიმულაციური** სწავლებისთვის გათვალისწინებული **ოთახების** რაოდენობაზე, მიღებული მაჩვენებლის მიხედვით მიიღება სემესტრში სიმულაციური სწავლების საათების ჩატარების შესაძლებლობა; მიღებული მაჩვენებელი იყოფა ერთი ჯგუფის მიერ სიმულაციური სწავლების საათების რაოდენობაზე სემესტრში და მრავლდება ერთ ჯგუფში სიმულაციურ სწავლებაზე დასაშვებ სტუდენტთა საშუალო რაოდენობაზე. მიღებული შედეგი წარმოადგენს **სიმულაციური სწავლებისთვის** უნივერსიტეტის **ცენტრის** რესურსით გამოანგარიშებულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

3.1.5. პარქტიკული/კლინიკური მეცადინეობისთვის კლინიკების სივრცეების რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების წესი

საუნივერსიტეტო კლინიკებში პრაქტიკული/კლინიკური სწავლებისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა დღეში მრავლდება სასწავლო დღეების რაოდენობაზე კვირაში, ასევე მრავლდება სემესტრში სასწავლო კვირების რაოდენობაზე და მიღებული შედეგი მრავლდება **პრაქტიკული/კლინიკური** სწავლებისთვის გათვალისწინებული **სივრცეების** რაოდენობაზე, მიღებული მაჩვენებლის მიხედვით მიიღება სემესტრში პრაქტიკული/კლინიკური სწავლების საათების ჩატარების შესაძლებლობა; მიღებული მაჩვენებელი იყოფა ერთი ჯგუფის მიერ კლინიკური/პრაქტიკული სწავლების საათების რაოდენობაზე სემესტრში და მრავლდება ერთ ჯგუფში პრაქტიკულ/კლინიკურ სწავლებაზე დასაშვებ სტუდენტთა საშუალო რაოდენობაზე. მიღებული შედეგი წარმოადგენს **პრაქტიკული/კლინიკური სწავლებისთვის** საუნივერსიტეტო კლინიკების რესურსით გამოანგარიშებულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

3.2. სასწავლო სივრცის რესურსით სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება ამ მუხლის თითოეული ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილი რაოდენობრივი მაჩვენებლიდან უმცირესი მაჩვენებელი.

მუხლი 4. ადამიანური რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი

4.1. ადამიანური რესურსით (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

4.1.1. აკადემიური პერსონალის აკადემიური (შრომითი) დატვირთვის სემესტრული მაჩვენებელი (თითოეული აკადემიური თანამდებობის პირისათვის განსაზღვრული წლიური სავალდებულო სასწავლო (პედაგოგიური) დატვირთვის ოდენობის ½) მრავლდება თითოეული კატეგორიის აკადემიური პერსონალის რაოდენობაზე, მიღებული მონაცემები იკრიბება და მიღებული შედეგი წარმოადგენს აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ჯამურ სემესტრულ ოდენობას აკადემიურ საათებში.

4.1.2. მოწვეული პერსონალის აკადემიური (შრომითი) დატვირთვის წლიური ჯამური მაჩვენებელი იყოფა ორზე და მიღებული შედეგი წარმოადგენს მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ჯამურ სემესტრულ ოდენობას აკადემიურ საათებში.

4.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული ზღვრული ჯამური დატვირთვის საათების რაოდენობა იკრიბება და მიიღება პროგრამის მიხედვით პერსონალის საშუალო სემესტრული დატვირთვა აკადემიურ საათებში (ადამიანური რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის).

4.3. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სტუდენტთა ჯამური ოდენობის, ან ამ მეთოდოლოგიის პირველი პუნქტით განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისათვის საგანმანათლებლო პროგრამის სრული საკონტაქტო კომპონენტის (ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული, სიმულაციური, კლინიკური მეცადინეობა) საათების ჯამური რაოდენობა (რომელიც მიიღება საკონტაქტო კომპონენტების მიხედვით სტუდენტთა შესაბამის რაოდენობაზე ნამრავლის ჯამით) იყოფა ორზე და მიღებული შედეგი წარმოადგენს სტუდენტთა ყველა ჯგუფის ჯამური საკონტაქტო საათების რაოდენობას თითოეული სასწავლო სემესტრისათვის.

4.4. ამ მუხლის **4.3. პუნქტით** განსაზღვრული სასწავლო ჯგუფების საკონტაქტო საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის **4.2. პუნქტით** გაანგარიშებულ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზღვრული ჯამური დატვირთვის აკადემიური საათების რაოდენობას.

მუხლი 5. კლინიკური რესურსით სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა

5.1. კლინიკური რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება საუნივერსიტეტო კლინიკებსა და პარტნიორ კლინიკურ დაწესებულებებში ხელშეკრულებების საფუძვლებზე განსაზღვრული, კლინიკურ პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების ადგილების ოდენობა, თითოეული კლინიკური დეპარტამენტისთვის ცალ-ცალკე.

5.2. კლინიკური რესურსით სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისათვის, შესაბამისი კლინიკური მეცადინეობებისთვის კლინიკასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მაჩვენებლები:

5.2.1. სტუდენტთა მისაღები ადგილები შემდეგი პირობების დაცვით:

ა) თერაპიული მიმართულება- 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტი;

ბ) ქირურგიული მიმართულება - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტი;

გ) მეანობა-გინეკოლოგიის მიმართულება - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტი;

დ) პედიატრიის მიმართულება - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტი;

ე) რეანიმაციის/ინტენსიური თერაპიის მიმართულება - 1 პაციენტზე არაუმეტეს 6 სტუდენტი.

5.2.2. საუნივერსიტეტო კლინიკებსა და პარტნიორ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებით კლინიკურ მიმართულებებში პაციენტთა სავარაუდო ჯამური რაოდენობა უნდა აღემატებოდეს სასწავლო მიზნებისათვის პაციენტთა მინიმალურ რაოდენობას მიმართულებების მიხედვით, რომელიც მიიღება ამ მუხლის 5.2.1 ქვეპუნქტის პირობების შესაბამისად პაციენტთა რაოდენობის გამრავლებით სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული (მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის შესაბამისად) კლინიკური პრაქტიკის ჯგუფების რაოდენობაზე. სასურველია პრაქტიკის ჯგუფების მიხედვით გათვლილი პაციენტთა რაოდენობა შეადგენდეს საუნივერსიტეტო კლინიკებსა და პარტნიორ კლინიკებთან დადებული ხელშეკრულებით კლინიკური მიმართულებების შესაბამისად გაანგარიშებულ პაციენტთა რაოდენობის არაუმეტეს 75%-ს.

5.3. კლინიკური პრაქტიკის ჯგუფების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი კლინიკური კომპონენტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოცულობასთან შეფარდებით (ჯგუფში სტუდენტთა საშუალო რაოდენობა და ჯგუფების ჯამური რაოდენობა სასწავლო პროგრამის მიხედვით მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის შესაბამისად).

5.4. მიღებული მაჩვენებელი **(5.3 პუნქტის შესაბამისად)** მრავლდება ამ მუხლით განსაზღვრულ კლინიკურ პრაქტიკაზე კლინიკური მიმართულების მიხედვით სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე და ჯამდება, <u>შედეგი წარმოადგენს კლინიკური რესურსით გამოანგარიშებულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.</u>

მუხლი 6. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

6.1. სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისთვის გამოიყენება ამ მეთოდოლოგიით დადგენილი წესით სასწავლო სივრცეების, ადამიანური რესურსისა და კლინიკური რესურსის მაჩვენებლებით გამოთვლილი ზღვრული რაოდენობებიდან უმცირესი მაჩვენებელი.

6.2. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მისაღები სტუდენტების რაოდენობა შესაბამისობაში უნდა იყოს სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. დაუშვებელია არსებული და მისაღები სტუდენტების რაოდენობა მიმდინარე წლისათვის აღემატებოდეს სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობის გამოკლებით.

მუხლი 7. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული

7.1. წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი მეთოდოლოგიით უნივერსიტეტში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა-გამოთვლაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რექტორთან და რექტორის მოადგილეებთან ერთად;

7.2. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში სტუდენტთა მისაღებ რაოდენობას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით.

თავი III - საგანმანათლებლო პროგრამებზე პერსონალის, მატერიალური და კლინიკური რესურსების საჭიროების განსაზღვრის წესი

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამაზე პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი

8.1. საგანმანათლებლო პროგრამაზე პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისთვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი არსებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებელი;

ბ) წინამდებარე მეთოდოლოგიის მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით განხორციელებული კალკულაციის მაჩვენებელი, სტუდენტთა სავარაუდო/გეგმურ რაოდენობაზე;

გ) უნივერსიტეტის დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიღწევის/არ მიღწევის მაჩვენებელი;

დ) გარე შემფასებელთა რეკომენდაციები.

8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მაჩვენებლების გამოთვლისა და ურთიერთშედარების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამაზე პერსონალის რაოდენობასთან მიმართებით და წარუდგენს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) დეკანს და რექტორის მოადგილეს ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით.

მუხლი 9. საგანმანათლებლო პროგრამაზე მატერიალური რესურსის საჭიროების განსაზღვრის წესი

9.1. საგანმანათლებლო პროგრამაზე მატერიალური რესურსის საჭიროების განსაზღვრისთვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

ა) რესურსების ცვეთის/ამორტიზაციის მაჩვენებლები;

ბ) რესურსების საკმარისობის და ეფექტურად გამოყენების შესახებ განხორციელების შეფასებების მაჩვენებლები;

ბ) წინამდებარე მეთოდოლოგიის მე-3 მუხლით განსაზღვრული წესით განხორციელებული კალკულაციის მაჩვენებელი, სტუდენტთა სავარაუდო/გეგმურ რაოდენობაზე;

გ) გარე შემფასებელთა რეკომენდაციები.

9.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მაჩვენებლების გამოთვლისა და ურთიერთშედარების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ რესურსებთან მიმართებით და წარუდგენს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) დეკანს და რექტორის მოადგილეს ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით.

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამაზე კლინიკური რესურსის საჭიროების განსაზღვრის წესი

10.1. საგანმანათლებლო პროგრამაზე კლინიკური რესურსის საჭიროების განსაზღვრისთვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

ა) მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები;

ბ) ინფორმაცია პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების (კლინიკების) პაციენტთა რაოდენობის, სამედიცინო საქმიანობის სფეროებისა და კლინიკურ პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის შესახებ;

ბ) წინამდებარე მეთოდოლოგიის მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით განხორციელებული კალკულაციის მაჩვენებელი, სტუდენტთა სავარაუდო/გეგმურ რაოდენობაზე;

გ) გარე შემფასებელთა რეკომენდაციები.

10.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მაჩვენებლების გამოთვლისა და ურთიერთშედარების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამაზე კლინიკური რესურსის გაზრდის საჭიროებასთან მიმართებით და წარუდგენს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) დეკანს და რექტორის მოადგილეს კლინიკური ბაზებისა და სასწავლო რესურსების მართვის მიმართულებით.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია შემუშავებულია უნივერსიტეტის ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის მიერ (მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით) და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად დამტკიცებულია უნივერსიტეტის პარტნიორთა საერთო კრების მიერ.

11.2. აკადემიური საბჭოს ფორმირების შემდეგ მეთოდოლოგიის მოდიფიცირებული რედაქციის, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა-დამტკიცებას ახორციელებს აკადემიური საბჭო.